საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთ. სარევოლუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო.

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—85.

ფასი 5000 მან.

№ 173

ოთხშაბათი, მარტის 22

1922 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ტრიბუნა

ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.

1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 120,000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.

უფასოდ გაზეთი აღარავის გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან,

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

ხელოვნების სასახლე

სერგიევის ქუჩა № 13.

ხუთშაბათს მარტის 28-ს

გაიმართება

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის

მორიგი მეთექვსმეტე

ლიტერატურული

ხუთშაბათი

კონსტანტინე გამსახურდია

წარმოსთქვამს სიტყვას:

ოსტვალდ შპენგლერი—დასავლეთის დაღუპვა.

Der Untergang des Abendlandes.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

შესვლა ყველასთვის უფასოა.

განცხადება

სამკერვალო ქალთა და ბავშვთათვის.

უკანასკნელ გამოსულ ევროპიულ ჟურნალების მიხედვით „მერეშკის“ და ყოველგვარი საქარგავის გაკეთება.

იქვეა მოთავსებული ქუდის სახელოსნო ქალთა და ბავშვთათვის.

ყოველივე საგნები ხელსაყრელ ფასებში და პასუხისმგებლობით იქნება შესრულებული.

აგრეთვე ვიყვანთ მოწაფეებს.

ჩხოპაძე და ბურუსიძე. მისამართი: ელისაბედის ქუჩა № 120.

## ან იქეთ ან აქეთ.

„სერიოზული საქმე კი დაიწყება კავკასიაში, სადაც მთავარ-სარდლად განზრახულია ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი“.

**ლ. ტროცკის მოხსენებიდან.**

ლ. ტროცკის მოხსენებამ დიდათ შეარყია ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის სულიერი ვითარება.

დღეს ყველა ამ მოხსენების ირგვლივ ლაპარაკობს. ზოგს იგი წარღვნის ემბლემად მიაჩნია, ხოლო ზოგი მასში „ხსნის“ ცისარტყელას ხედავს.

რაშია საქმე? რას ნიშნავს ლ. ტროცკის მოხსენება? მოულოდნელი იყო ასეთი რამ, თუ იგი თავიდანვე სჩანდა პოლიტიკური ვითარების ნიუანსებში.

რა თქმა უნდა იგი ერთი მომენტი იყო იმ საერთო პერსპექტივაში, რომელიც გათვალისწინებული გვქონდა თავის დროზედ (იხ. „ტრიბუნა“ № 126).

კანის კონფერენციის დადგენილებანი და გენუას კონფერენციაში მონაწილეობისათვის რუსეთისადმი მომართვა, თავის თავად ჰგულისხმობდა რუსეთის ცნობას, მაგრამ როგორც მაშინ აღვნიშნავდით, ეს არ ნიშნავდა მსოფლიოში არსებული ორი ძალის შეთანხმებას, მის შერიგებას საბოლოოდ. ჩვენთვის იმ თავითვე აშკარა იყო, რომ ბრძოლა ახალ თეზისში შედიოდა, რომელიც ეკონომიური შეჯიბრების სახით წარიმართებოდა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა საბჭოთა სახელმწიფოების წინააღმდეგ მილიტარული ძალით ამხედრების შეუძლებლობას.

ამას წინეთ ქართველი ჯარის შესახებ გვქონდა წერილი, რომელშიაც აღვნიშნავდით, რომ როგორც გენუას კონფერენციის პროცესში, ისე მის შემდეგ და ყოველ დროსა, საბჭოთა სახელმწიფონი, ვერ გაუშვებენ ხელს თოფს, რადგან ანტანტური ძალა პატარა ავანტიურებით ყოველთვის შეეცდება საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ კამპანიის წარმოებას.

დღეს არც მეტი, არც ნაკლები. ჩვენი დებულების სამართლე გამოაშკარავდა.

ლ. ტროცკის მოხსენებამ, რომელიც მოყვანილი იყო გაზეთებში დიდი ხმაური და მითქმა-მოქთმა გამოიწვია. ზოგს მეტად თავზარ დამცემი სურათი წარმოუდგა წინ, ხოლო ზოგი კი ზეცას ეწია სიხარულით.

რას ნიშნავს ეს ფაქტი? ეს ფაქტი ნიშნავს, რომ ჩვენი საზოგადოების ამ ნაწილს არა აქვს გათვალისწინებული ის პერსპექტივა, საითაც მიეშურება თანამედროვე ძალთა ინტერესები.

ეს ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა ნაკლებად იცნობს იმ ისტორიულ პროცესს, რომლის წინაშე დაგვაყენა სოციალური ცხოვრების დინამიურმა სრბოლამ და რომელიც სხვა და სხვა მომენტში ამა თუ იმ სახით გადაიშლება.

ამიტომ არის, რომ ასეთი მოულოდნელი გახდა მათთვის ტროცკის მოხსენება იმ საშიროების შესახებ, რომელიც მოელის საბჭოთა რესპუბლიკებს.

ჩვენ იმ თავითვე ვიცოდით, რომ რევოლუციის ნარ ეკლიანი გზა ასეთ სახიფათო ბილიკებ საკენ მიეშურება, ვიცოდით, რომ ჯერ არა თუ არ არის რევოლუცია გამარჯვებული, არამედ მას უმთავრესი პოზიციებიც არ დაუპყრია. ისიც კარგა გვაქვს გათვალისწინებული, რომ კაპიტალისტური სამყაროს სასიცოცხლო რესურსები ჯერ კიდევ სავსებით არ არის დაცლილი და კაპიტალიზმის დეგრადაციას კიდევ საჭიროებს განსაზღვრული დრო.

ასეთ მომენტში ცხადია ორ შეურიგებელ ბანაკს შორის ბრძოლა არა თუ არ არის მოულოდნელი, არამედ იგი აუცილებელიცაა.

მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ერთი გარემოება, რომელსაც ჩვენ მუდამ ხაზს უსვამდით. ეს გარემოებაა ორ მოწინააღმდეგე ბანაკს შორის საშუალო ადგილის შეუძლებლობა.

არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ბოლშევიკური მოძრაობის დამარცხება ნიშნავს, არა მენშევიკების რესტავრაციას, არამედ პირწავარდნილი შავი რეაქციის გამარჯვებას. ვინც ფიქრობს, რომ უცხოეთიდან მოსულ ბოლშევიზმის ლიკვიდაცია ყოფილ მენშევიზმის ტრიუმფს მოასწავებს, მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს თანამედროვე პოლიტიკურ კომბინაციათა შესახებ.

ამხ. თედო ღლონტი ამას წინათ თავის „მწარე წერილებში“ აღნიშნავდა, თუ როგორი საშინელება შეიძლება დაგვატყდეს თავს, რომ მსოფლიო ძალთა დაპირისპირებას ადგილი ექნეს ჩვენ მიწაწყალზე და დასძენდა, რომ ინგლისის ჯარი ტრიუმფს კი არ მოუწყობს ჟორდანიას, არამედ საქართველოს თავისუფლების ნიშანწყალსაც აღარ დატოვებს. არა ერთხელ გვითქვამს, რომ შავი ზღვით შეიძლება მოვიდეს რომელიმე ძალა, მაგრამ იგი იქნება არა თეთრი ან მოწითალო, არამედ უშავესი, რომელიც მიწასთან გაასწორებს ისტორიის მიერ განაწამებს ჩვენ ეროვნულ სხეულს.

ესდებულება თუ მაშინ თეორიული ხასიათის იყო, რომელსაც ბევრი არ ეთანხმებოდა, დღეს იგი პრაქტიკულად განხორციელების პროცესშია და „მათი უდიდებულესობა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე“ ფიქრობს კავკასიისაკენ ლაშქრობას და არა ვ. ჯუღელი და ნ. ჟორდანია.

როგორი სიმპატიურიც არ უნდა იყოს ჩვენი მამულიშვილური გრძნობანი, ისტორიის უკუღმართი ბედი თავისი ლოღიკით შავ აჩრდილს გვისახავს და გარკვეულ ალტერნატივის წინაშე გვაყენებს. ან იქეთ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან, ან აქეთ საბჭოთა რესპუბლიკების წითელ ჯარისაკენ.

სხვა გზა აღარ არსებობს.

მენშევიკების ხელისუფლება ისტორიის ფურცლებზე დარჩება და თუ რომელიმე ძალამ გაიმარჯვა—ან წითელ ან შავ ხალხთან გვექნება საქმე.

მაგრამ როგორია გამარჯვების შანსები?

უნდა ვიფიქროთ, რომ სიფრთხე არაჩვეულებრივი და დიდი არ არის. გენერალი ბრძოლისათვის კაპიტალისტუ სამყაროს არ შესწევს საკმაო რესურსები. მოსალოდნელია ისეთი პატარა ავანტიურები, რომელსაც ადგილი ჰქონდა წინეთაც,

ასეთი საფრთხე არ არის გადამწყვეტი მნიშვნელობის, მაგრამ ზომების მიღება მის წინააღმდეგ აუცილებელია. ერთი გაკვეთილი კიდევ მოსალოდნელია საბჭოთა სახელმწიფოებისათვის, მაგრამ ამ გამოცდას ისე წარჩინებით ჩავაბარებთ, როგორც წინანდელ გამოცდებს.

მთელმა ქართველმა ხალხმა, მიუხედავად რწმენისა და მიმართულებისა მტკიცედ უნდა სთქვას, რომ **ის აქეთ არის საბჭოთა ხელისუფლებისაკენ და არა იქეთ ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძისაკენ.**

**ს.—ელი.**

## გენუის კონფერენცია

(გაგრძელება)

როგორც წინა წერილიდან დავინახეთ, საბჭოთა რუსეთის მთავრობა საკმაოზედ უფრო ძლიერი და მტკიცეა და ამ მხრით არ არსებობს დაბრკოლება მისი ცნობისათვის. ეხლა განვიხილოთ სხვა საბუთებიც.

შეუძლია თუ არა ანტანტას სცნოს არა ბურჟუაზიული მთავრობა? ძნელია ეს, გაუჭირდება, მაგრამ შეუძლია. ევროპის ბურჟუაზიული მთავრობები სცნობდნენ მეფის და სულთანის თვითმპყრობელობას. რატომ არ უნდა სცნონ მუშურ-გლეხური მთავრობა, რომელიც არჩევნებზედ ემყარება? მართალია საბჭოთა რუსეთის მთავრობა არაა არჩეული ოთხ ფორმულიანი წესით, მაგრამ ამის გამო მისი არ ცნობა შეუძლებელია. არც რევოლუციამდი იყო რუსეთის მთავრობა ამ წესით არჩეული, მაგრამ მას სცნობდნენ. მეფე და სულთანი სულ არ იყვნენ არჩეულები, მაგრამ მასაც სცნობდნენ. იმიტომ რომ კონსტიტუცია ყველა სახელმწიფოს შინაური საქმეა და მისი შეცვლის მოთხოვნა იურიდიულად არც შეუძლია სხვა სახელმწიფოს. მაშინ რუსეთიც მოსთხოვდა ევროპის სახელმწიფოებს: თქვენ შესცვალეთ თქვენი კონსტიტუცია, შემოიღეთ საბჭოთა სისტემა და ჩვენ შორის სადავოც აღარაფერი იქნებაო.

ბოლშევიკებმა ძალადობით ჩაიგდეს ხელში სახელმწიფო ძალა-უფლება და ძალით მოახვიეს ხალხს საბჭოთა სისტემა, ასეთივე ძალადობით ჩაიგდო ხელში ევროპის ბურჟუაზიამ ძალა უფლება, რომელიც შინ თავად-აზნაურობას წაართვა და ასეთივე ძალით მოახვია ხალხს პარლამენტარიზმი. მაშ ეს საბჭოთაც ჩვეულებრივი საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

საბჭოთა რუსეთში უმცირესობაა გაბატონებული. ევროპაში კი პარლამენტარული წესები საყოველთაო არჩევნებითაა დაკანონებული, ე. ი. ის გამონახავს დიდი უმრავლესობის ნებასო, ჰფიქრობენ ზოგიერთები.

მაგრამ ზოგი ივიწყებს და ზოგმა არც იცის, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში საყოველთაო არჩევნები ფიქციაა. სტატისტიკურად დამტკიცებულია, რომ საყოველთაო არჩევნებში ფაქტიურად მონაწილეობას ღებულობს მცხოვრებთა მხოლოდ ერთი მეათედი დაახლოვებით.

ყოველ ქვეყანაში მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას მშრომელი ხალხი წარმოადგენს. მაგრამ ყველგან გაბატონებულია ბურჟუაზია, ე. ი. დიდი უმცირესობა. განა ეს წარმოსადგენია, რომ საყოველთაო არჩევნები ფიქცია არ იყოს და მართლა თანასწორობას გამოხატავდეს? მაგრამ საქმე იმაშია, რომ გაბატონებულ კლასს ყოველგვარი საშუალება აქვს არჩევნების თავის სასარგებლოდ ჩასატარებლად. განა ჩვენ საკუთარ გამოცდილებიდან არ ვიცით როგორ ივსებოდნენ საარჩევნო ყუთები პირველი ნომრებით? რუსეთში საარჩევნო უფლება აქვს ყველა მშრომელს, ყველა მუშა მოსამსახურეს, ე. ი. მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას. უფლებას მოკლებულია მხოლოდ მყვლეფელები, ე. ი. მცხოვრებთა სრულიად უმნიშვნელო რიცხვი. საბჭოთა მთავრობა უმცირესობის მთავრობაა, მაგრამ ასეთია ყველა მთავრობა დედამიწის ზურგზედ.

ამა თუ იმ მთავრობის ცნობისათვის, რა თქმა უნდა, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ამ წვრილმანებს. საქმე იმაში კი არაა, თუ როგორი მოექცა ქვეყანას სათავეში არსებული მთავრობა. საქმე იმაშია, შეუძლია თუ არა მას ქვეყნის პატრონობა, მისი მართვა-გამგეობა და საიმედოა თუ არა მისი არსებობა მომავალშიაც?

რომ ბოლშევიკებს შეუძლიათ ქვეყნის მართვა-გამგეობა და პატრონობა, რომ მათ უდიდესი კრიზისები გადაიტანეს, ამის საბუთები ჩვენ პირველ წერილში მოვიყვანეთ. დავინახეთ ისიც, რომ კონტრ-რევოლუცია განადგურებულია საბოლოოდ და მომავალში საბჭოთა მთავრობას შინაურ მტრებისაგან არავითარი სერიოზული საფრთხე არ მოელის. ამ მხრით საბჭოთა მთავრობის არსებობა სავსებით უზრუნველყოფილია. მაგრამ მოსალოდნელია ინტერვენცია, ე. ი. ომი რუსეთის წინააღმდეგ. ეს რასა თქმა უნდა სერიოზული საფრთხეა. ამის შესახებ ქვევით გვექნება ლაპარაკი და დავინახავთ, რამდენად შესაძლებელია ეხლა რუსეთთან ომი და ვისთვის უფრო საიმედოა ის. აქ კი უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთისათვის გარეშე საფრთხე მანამ არსებობს, სანამ ის ცნობილი არაა. საბჭოთა მთავრობის ცნობა იქნება ამავე დროს ამ საფრთხის მოსპობა. მაშასადამე რუსეთის ცნობით ანტანტა სავსებით უზრუნველ ყოფს საბჭოთა მთავრობის არსებობას. არ ცნობა კი რომელიმე მთავრობისა გარეშე საფრთხის გამო აბსურდია. არ გიცნობთ იმიტომ რომ ჩვენ ყველანი ერთად შენზედ ძლიერი ვართო, ასეთი დებულების წამოყენება ანტანტას შეუძლია ყველა სახელმწიფოსადმი სათითაოდ. და არც ერთი მთავრობის ცნობა აღარ იქნება შესაძლებელი. აქ არ ცნობის მიზეზი იქნება არა საცნობი მთავრობის უვარგისობა, არამედ მცნობელი კოალიციის თვითნებობა. რა თქმა უნდა, არც ასეთ თვითნებობას მოერიდება ანტანტა, თუ კი გაუვიდა, მაგრამ რუსეთის სამხედრო ძლიერება და ანტანტის შინაგანი სისუსტე ამის საშუალებას არ იძლევა.

ეს ყველაფერი კარგი, გვეტყვიან: საბჭოთა მთავრობა ძლიერი არის, მტკიცეც და მომავალიც მისი სავსებით უშიშარი შეიქნება, თუ კი აღიარეს ის; მაგრამ როგორ შეიძლება მისი ცნობა, რომელსაც ბოლშევიკებისათვის ხელშეკრულობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს? ისინი ხელშეკრულობას ხომ მეორე დღესვე დაარღვევენ, თუ კი საჭიროდ დაინახეს? ისინი ხომ არ მალავენ, რომ კაპიტალიზმის შეურიგებელი მტრები არიან, რომ ყოველ წუთს მის მოსპობაზედ ჰფიქრობენ? მაშ როგორ შეიძლება ანტანტა ენდოს ბოლშევიკებს, როცა მათი ნამდვილი განზრახვები იციან? ეს ხომ საარაკო თავის მოტყუილება იქნება? ნუ თუ ანტანტის დიპლომატები ასეთ სირეგვნეს გამოიჩენენ და გაბრიყვდებიან?

**ომეგა.**

(შემდეგი იქნება)

# სიმშილი საქართველოში და სოციალური უზრუნ. სახ. კომისარიატი.*)

ეს ორი ცნება: სიმშილი და სოც. უზ. სახ. კომისარიატი ისე მჭიდროთ არიან ერთი მეორესთან დაახლოვებული, რომ პრაქტიკი ერთზე აუცილებლათ გამოიწვევს სჯა-ბაასს მეორეზე. თუმცა მართალია, მარტოდ მარტო ერთი ორგანო, როგორიც ძლიერიც არ უნდა იყოს ის, დღევანდელ პირობებში ვერ შესძლებს დამშეულ რაიონებისათვის სრულ სამსახურის და დახმარების გაწევას, მაგრამ ამ საქმეში უპირველესად უნდა ქონდეს მინიჭებული სოც. უზ. სახ. კომისარიატს, როგორც ორგანოს, რომელსაც აღრიცხვაზე ყავს აყვანილი ყველა დაჭრილ-დასახიჩრებულ-დავრდომილები, ქვრივ ობლები და საერთოდ გაჭირვებაში მყოფნი მცხოვრები მთელს რესპუბლიკაში.

რუსეთის გამოცდილებამ ნათლად დაანახვა სოც. უზ. ორგანოების აუცილებელ მონაწილეობის მიღების საჭიროება შიმშილთან ბრძოლაში და კიდევაც მეთაურობა მიანიჭა ამ ორგანოებს—გლეხთა ურთიერთ შორის დამხმარე კომიტეტების დაარსებით და მათ ხელში დახმარების გადაცემით.

რუსეთის სოც. უზ. სახ. კომისარიატის ანგარიშები ნათლად გვიმტკიცებენ ამ კომიტეტების სრულ საფუძვლიანობას და იმ დიდ როლს, რომელსაც ისინი უწევენ დამშეულ რაიონებს. ეს კომიტეტები დაარსებულნი არიან სოც. უზრ. სახკომისარიატის მიერ და მუშაობენ მის ხელმძღვანელობით.

საქართველოში კი, თუმცა სახკომისარიატმა თეორიულად მიიღო ამ კომიტეტების დაარსების მიზანშეწონილობა, მაგრამ დღემდის განუხორციელებელი დარჩა და, როგორც ვიცით, არც ახლო მომავალში აპირებს მათ გახსნას. ამავე დროს დაარსებულ იქნა დამშეულთა დამხმარე ცენტრ. კომიტეტი—თავის ადგილობრივ ორგანოებით და გამოუყენებელი სოც. უზრ. ორგანოები.

რესპუბლიკაში და მის მაზრებში დღეს მუშაობს ორი ერთ და იმავე მიზნისათვის—ორგანო და ერთი მეორესთან სრულიად უკავშიროთ.

ეს უკავშირობა ნათლად ეტყობა მუშაობის დაწყებისავე სიმშილთან ბრძოლის საქმეს. მაზრებში, დამშეულთ დამხმარე კომიტეტები რევკომების და მილიციის უფროსების მოწმობების მიხედვით არიგებენ სიმინდს და როგორც ვიცით ამ მოწმობებით ხელმძღვანელობა ბევრს შეცდომებს იწვევს; ვიცით რომ ეს მოწმობები ზერელე გამოკვლევებზედ არის აშენებული. რომ განაწილებული სურსათი სამყოფი იყოს მთელს რაიონის მცხოვრებთათვის, ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, შეუძლია მებს არავითარი ცუდ შედეგების მოტანა არ შეუძლიანთ, მაგრამ ოდეს ეს სურსათი ცოტა არის, (ცხადია ამ შეცდომების შედეგები: რჩებიან ნამდვილათ დამშეულნი, ან ნაკლებ გაჭირვებაში მყოფნი, მაზრის ცენტრიდან შორს მცხოვრებნი ისევ იმ უმწეო მდგომარეობაში, რომელშიაც იყვნენ.

სოც. უზრ. ორგანოების საშუალებით კი ეს შეცდომები სრულიად თავიდან აცილებულნი იქნებოდნენ და სურსათ-სანოვაგე ჩაუვარდებოდათ ხელში მხოლოდ ნამდვილ დამშეულებს, გაჭირვებაში მყოფთ, როგორც მაზრის ახლო სოფლებისას, ისე მაზრის შორეულებსაც; ეს იმიტომ, რომ ამ ორგანოებს სიებითი მასალები მოეპოვება მთელს მაზრის გაჭირვებულ და დამშეულ მცხოვრებთ შესახებ საკუთარ აგენტების მიერ გამოკვლეული.

მეორე მხრივ მარტო მთავრობის მიერ გაწეული დახმარება ვერ ამოსწურავს მთელს გაჭირვებას სოფლებისას, თუ თითონ სოფელმა არ უშველა თავის თავს და ეს მთავრობის დახმარება თავის შველის საშუალებით არ გამოიყენა და ეგეთ შემდეგს მაშინ მოიტანს გაწეული დახმარება თუ სოფელი შეკავშირებული იქნება და საერთო ძალით გაუწევს ბრძოლას სიმშილს. არიან მაზრები, სადაც ღვინის მოსავალი ჯვარიანი იყო, სადაც არის რაიმე შესაძლებლობა კიდევ ოდნავ მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ეგეთი სოფლების გლეხები სათითაოდ ორ-ორი ფუთი ღვინით მიემგზავრებიან მოსავლიან რაიონებში და ასე დაქსაქსულად მოქმედობენ თავის მომარაგების საქმეში. აქ საჭიროა მთავრობის ორგანიზაციონული უნარის გამოჩენა, ინიციატივა—საჭიროა სოფლის მცხოვრებთა შეკავშირება და ეს შესაძლებელი იქნება სოფლებში—გლეხთა ურთიერთ შორის დამხმარე კომიტეტების დაარსებით, ფართო ავტონომიურ ნიადაგზე.

რა შედეგებს მოგვცემს კომიტეტების დაარსება:

პირველი: სისწორით იქნება განაწილებული ყოველგვარი დახმარება არა თუ ნორმალურ მდგომარეობის, არამედ სიმშილობის დროსაც, გაჭირვებულთა სისწორით აღრიცხვით.

მეორე: სოფელი შესძლებს გაიღოს ზედმეტი სურსათ-სანოვაგე დამშეულთა სასარგებლოდ და ეს დახმარება მოიგროვებს თავს ამ კომიტეტის ხელში, რითაც დახმარებას გაუწევს მთავრობას სიმშილთან ბრძოლაში.

მესამე: სოფელი შესძლებს ერთად შეაგროვოს ყველი მისთვის ზედმეტი ან უპირველესი არა საჭირო საგნები ამ კომიტეტების დახმარებით და გადაცვალოს ის.

მეოთხე: მომავალში სიმშილის თავიდან ასაცილებლად ეს კომიტეტები მიიღებენ თავის დროზედ სათანადო ზომებს, დახნავს, დათესავს გაჭირვებულთა ადგილებს, უპატრონო მიწებს საზოგადოების საშუალებით და ამნაირად შექმნის, როგორც სოფლებისათვის უკეთეს მდგომარეობას მომავალში, ისე თავისთვის სასურსათო ფონდს ეგეთ უბედურ შემთხვევისათვის.

მეხუთე: ხელს შეუწყობს გლეხთა თვითცნობიერებას და ნიადაგს ჩაუყრის საზოგადოებრივ მუშაობის და შეკავშირების საქმეს.

ვის უნდა დაევალოს ამ კომიტეტის შექმნა და ხელმძღვანელობა. ცხადია, რომ სოც. უზრ. სახკომისარიატს და მის ორგანოებს როგორც ეს არის რუსეთში.

მხოლოდ ეს გზა სიმშილთან ბრძოლისა, მხოლოდ მთლიანი ორგანიზაცია ყოველგვარ დახმარებისა ერთ ორგანოს ხელმძღვანელობით არის საფუძვლიანი და მიზანშეწონილი, როგორც დღევანდელ მდგომარეობაში, ისე მომავლისთვის. საჭიროა საჩქაროთ ამ გზაზედ დადგომა, საჭიროა საჩქაროთ კომიტეტების შექმნა, თორემ ის დახმარება, რომელსაც დღეს მთავრობა უწევს დამშეულებს სრულიად უმნიშვნელოდ ჩაიარს და წელს თუ ეგეთ გაჭირვებას განვიცდით. მომავალ წელში უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩავარდებით.

ტონი.

*) წერილი დაგვიანებით იბეჭდება. სოც. უზრუნველყოფის კომისარიატი დღეს უკვე გაუქმებულია. ავტორი მნიშვნელოვან საკითხს ეხება და ამიტომ ვბეჭდავთ მას უცვლელად.

რედ.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

ეხერებას მოლაპარაკება ბოლშევიკებთან

„ობშჩეე დელო“-ში მოთავსებულია შემდეგი ცნობა:

რიგა, (5 იანვარი), აქ იუწყებიან, რომ ლონდონში ბარონესა როზენის პოლიტიკურ სალონში, იმ სალონში, სადაც კრასინი და მისი მარდი აგენტები მუდამ ხვდებიან ინგლისის მთავრობის წარმომადგენლებს და უმაღლეს სამრეწველო წრეებისას და თანაც პარლამენტის წევრებს, რომელთანაც აწარმოებენ საიდუმლო მოლაპარაკებას, კრასინი ორჯერ შეხვედრია ს. რ. ლიდერს კერენსკის. ამ შეხვედრას ჯერ არ ჰქონია საგრძნობელი შედეგი, მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ როგორ დაშორებულან ორივე „პოლიტიკოსები“ ამტკიცებენ, რომ ეს არ იქნება უკანასკნელი შეხვედრა. თითქოს ამავე დროს ბერლინში ს. რ. მემარცხენე ფრთის ლიდერი ჩერნოვი აწარმოებს რადაც ერთობ საიდუმლო მოლაპარაკებას ბოლშევიკებთან. საბჭოთა მთავრობის მხრით მოსალაპარაკებლად გამოდის ვიღაც დამალული მიხაილოვსკის სახელწოდებით, სპეციალურად ამ მიზნისათვის მოსკოვიდან ჩამოსული. პირველი წინადადება ჩამოიტანა ჩერნოვის მეულლე, რომელსაც სანამ მოსკოვიდან გამოუშვებდნენ ალქერევეს ის მთელი წყება მომხიბლავ წინადადებებით მისი ქმრისათვის და მის სახელოვან მომხრეებისათვის.

ბოლშევიკები არ კმაყოფილდებიან ს. რ. გამოჭერით ისინი ისვრიან ანკესს მარჯვენითაც. მაგალითად მოულოდნელად პროფ. ბერნაცკი ღებულობს წერილს ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორ სნოუდონიდან თხოვნით, რომ გამოსთქვას აზრი „კოალიციაზე რუსეთში ლენინის მონაწილეობით“.

ამავე დროს ლიტვინოვი ხმებს ავრცელებს კოალიციის შესაძლებლობაზე და რომ სტოკჰოლმში სოც. ყრილობაზე ის გამოვა წინადადებით „ტერმიდორის“ შესახებ.

კერენსკიმ გადასცა კრასინს 9 მუხლი, რომელზედაც ისინი (ს.-რ.) შესძლებდენ მთავრობაში შესვლას უმთავრესი მათგანი: 1) სიკვდილით დასჯის გაუქმება, 2) სამოქალაქო თავისუფლება, 3) ვიხრის ლიკვიდაცია, 4) ჯარის დემობილიზაცია, 5) სასურსათო გადასახადის გაუქმება, 6) ვაჭრობის თავისუფლება და სხვა.

გარდა ამისა კერენსკიმ გადაგზავნა მათ, რომ ის მინისტრთა კაბინეტში (სახ. კომ. საბჭოში) მოითხოვს სამს პორტფელს თავის პარტიისათვის. საბჭოთა მთავრობამ მოითხოვა მოლაპარაკების დასაწყებად და ძველად სოც.-რევ. მხრით დამფუძნებელ წევრების ბიუროდან გამოთხოვა პარიზში, ჩიჩერინი აგზავნის პარიზში და ლონდონში სპეციალურ კრედიტებს 12,000 გირვ. სტერლინგს ფართო პროპაგანდის საწარმოებლად „დაღლილ და სულით დაცემულ რუსის ემიგრაციის“ შორის და მათ შესარიგებლად საბჭოთა მთავრობასთან. პარიზში, როგორც სოკოები მსუქან ნაკელზე იზრდებიან ჟურნალები და მიაქვთ ძლიერი იერიშები. რომ ჩაიტყუონ სამხატვრო თეატრის ტრუპა კაჩალოვისა და კნიპერის მეთაურობით მოსკოვში დასაბრუნებლად. როგორც მაცნობეს სარწმუნო წყაროებიდან საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობა ეკონომიურ ისტორიაში უწყვეტლო კრიზისისა გამო კატასტროფიულ მდგომარეობაშია, საბჭოთა უმაღლეს წრეებში გრძნობენ, რომ საბჭოთა მთავრობის ცნობა და სესხის აღება დაიცავს მდგომარეობას. ამისათვის საფრანგეთის მტკიცე პოზიციის გამო ამ საკუთ კითხვაზე, საბჭოთა დიპლომატებმა გადაასწყვიტეს მთელი ძალღონით შეიტანონ განხეთქილება საზღვარგარეთ მყოფ ანტი-ბოლშევიკურ ძალებში, მიაღებინონ მათ უტოპიური იდეა შერიგებისა და შემდეგ წამოაყენონ ლონდონში დებულება: რომ ემიგრანტები მსურველია შერიგებისა და მხარს უჭერენ საბჭოთა ხელისუფლებას.

შესძლებენ კი თავისი გეგმის განხორციელებას ჩიჩერინი და მისი დამქაშები—ეს დიდი საკითხია, ვინაიდან საფრანგეთის მთავრობამ განაცხადა: ჩვენთვის ცხადია, რომ ბოლშევიზმი კაპიტულიაციას ახდენს ყველა ფრონტზე. ჩვენი პოზიცია ამ საკითხში შეურყეველია.

(Общее дело № 535)

—

გაზეთ „პოსლედნიე ნოვოსტი“-ს (557 მეთაური სწერს, რომ პუანკარეს უნდა ეწარმოებინა „შეურიგებელი“ პოლიტიკა (ბოლშევიკების მიმართ) ბრიანის „შეთანხმებელ“ პოლიტიკის ნაცვლად, მაგრამ იგი მისი წინაპარის იქით მიდის. იგი დაადგა გზას, რომ იცნოს ბოლშევიკური ძალა-უფლება, როგორც ნაციონალური ძალა-უფლება. მისი არგუმენტაცია ემყარება არა მომენტის მოთხოვნილებას, არამედ პრინციპებს, რომ [illegible] კომუნიზმი, როგორც [illegible] ჰემმარიტება.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი იყოს საფრანგეთის პრემიერის გულწრფელი აზრი. ყველა იმ მდგომარეობით, რომელიც შექმნილია ლონდონში და პარიზში საქმის ვითარება სხვაგვარად არის. რუსეთი არის მახვილი იარაღი, რომლის გამოყენებას საფრანგეთი ცდილობს ინგლისის წინააღმდეგ. ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება ჯერ კიდევ არის გაურკვეველ მდგომარეობაში. ინგლისი ენერგიულად მოითხოვს, რომ პარიზის დამოკიდებულება გერმანეთისადმი შეიცვალოს. ამ რიგად ხდება საფრანგეთის იზოლიაცია, რომელსაც დასაყრდენი არა აქვს არც ჩრდილო აღმოსავლეთში, არც სამხრეთში და მით უფრო აღმოსავლეთში. მეგობრების ძებნაში პუანკარე იყურება რუსეთისაკენ, იგონებს საფრანგეთისა და რუსეთის მეგობრობას და უთანხმდება რუსეთის კომუნისტებს, როგორც ნაციონალური ნების-ყოფის გამომხატველს.

შემდეგ გაზეთი განაგრძობს, რომ რუსეთ-საფრანგეთის შეთანხმების იდეა ქმნის ერთად ერთ შესაძლეობას, რომ საფრანგეთი არ მოექცეს იზოლიაციაში.

მაგრამ საქმე ამით არ სრულდება. გერმანეთი ცდილობს რუსეთის გამოყენებას საფრანგეთის წინააღმდეგ.

დიდი ბრიტანეთი ცდილობს, რომ რუსეთი გამოიყენოს საფრანგეთისა და გერმანეთის წინააღმდეგ. ევროპის დიპლომატიის ასეთი მდგომარეობით სარგებლობს ბოლშევიკები და გონიერად იყენებს ევროპის სახელმწიფოთა უთანხმოებას რუსეთის მიმართ.

მოწინავე დაასკვნის, რომ ყველა ამათ ხარჯზე კი მოიგებს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება.

—

ლლოიდ ჯორჯი ამავე გაზეთში მოყვანილია რეცენზია ბენედიქტოვის ლექციისა ლლოიდ-ჯორჯის შესახებ.

რეცენზენტი აღნიშნავს, რომ ლექტორმა სთქვა—12 ნოემბერს, 1881 წ. 18 წლის ყმაწვილი უელსის დაბისა პირველად ჩავიდა ლონდონში და მოხვდა თემთა პალატაში. თემთა პალატამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და დღიურში შემდეგი ჩასწერა—„მე უკვდავი სხდომას იმ გრძნობით, რომელსაც ალბად განიცდიდა ვილგელმი (დამპყრობელი) როდესაც ის პირველად შეხვდა ედუარდს მეფეს. ის უყურებდა ინგლისს, როგორც თავის მომავალ სამეფოს“.

ლექტორმა აღნიშნა, რომ ლლოიდ-ჯორჯის შესახებ მრავალი აზრია გამოთქმული. ზოგს იგი მიაჩნია რეაქციონერად და იმპერიალისტად, ზოგი მას უწოდებს დიდ პატრიოტს, სოციალისტს, რევოლიუციონერს. მაგრამ ერთი მაინც ახასიათებს ინგლისის პრემიერს—ნების სიძლიერე, საზრიანობა და დიქტატურისადმი მისწრაფება.

# პარიზის კომუნა

(დასასრული *)

როგორც აღვნიშნეთ პარიზის კომუნამ სრულიად სტიქიურად აღმოხეთქა; მას არავინ არ მოელოდა და მისთვის არავინ არ ემზადებოდა. პარიზის კომუნით იწყება პროლეტარიატის დამოუკიდებელი გამოსვლა, მისი კლასიური ინტერესების გარკვეულს ფორმებით დაპირისპირება გაბატონებულ კლასების მიმართ. პარიზის კომუნა პროლეტარიატის პოლიტიკური ბატონობაა, მისი დიქტატორული ძალ-დატანება მოწინააღმდეგე კლასებზე.

კომუნის კლასიური შინაარსი და ხასიათი სტიქიურად წარმოიშვა და იგი სრულიად ახალი ხილი იყო არა მარტო პარიზისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის. „ტრადიცია დარღვეული იქნა,—ამბობს პარიზის კომუნის მონაწილე არტურ არნუ თავის ისტორიაში,—რაღაც მოულოდნელი მოხდა მსოფლიოში. მთავრობაში არ იყო არც ერთი წევრი მმართველი კლასებისა. იფეთქა რევოლიუციამ, რომელსაც არ ყავდა არც ერთი წარმომადგენელი ვექილის სახით, არც ერთი დეპუტატი, არც ერთი ჟურნალისტი, არც ერთი გენერალი. მათი ადგილი დაიჭირეს: ზოგ მუშამ კრეზოდან, წიგნების მკინძავმა, მზარეულმა და სხვ.“**)

ამგვარად მოძრაობის სათავეში მოექცნენ „სრულიად უცნობი პირები“ ხალხიდან; პარიზის კომუნა იყო მთავრობა დიდი ქალაქის ფიზიკური შრომის წარმომადგენლებისა. ეს იყო რევოლიუცია მშრომელთა კლასისა, პარიზის პროლეტარული მასის: მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელები უპროგრამოდ გამოვიდნენ სამოქმედო ასპარეზზე და არც სცდილობდნენ კავშირი გაეწყვიტათ ბურჟუაზიასთან, მოძრაობამ გარკვეული კლასიური ხასიათი მიიღო სტიქიურად და გარკვეულს კლასიურ ორგანიზაციებში ჩამოყალიბდა მომქმედი ძალების ინტერესები. ვერსალი და პარიზი ერთიმეორეს დაუპირისპირდნენ, როგორც მოწინააღმდეგე კლასების სამხედრო ორგანიზაციები.

ამ გარემოებამ გადასწყვიტა პარიზის კომუნის სამოქმედო გეზიც, მისი მოქმედების პროგრამა, რომელსაც საჩქაროდ დაედვა: „დღე პროლეტარიატის განთავისუფლებისა დაიწყო“.

აპრილის 5-ს ცენტრალურმა კომიტეტმა თავის პროკლამაციაში შემდეგი სიტყვებით მიმართა პარიზის მცხოვრებთ: „არ მოსტყუვდეთ მშრომლებო; ეს არის—უდიდესი ბრძოლა; ეს არის შეტაკება პარაზიტიზმისა და შრომის, ექსპლოატაციისა და მწარმოებლობის“. ამ სიტყვებით ცენტრალურმა კომიტეტმა მოძრაობას კლასიური ხასიათი მისცა და მშრომლები დაუპირისპირა ექსპლოატატორებსა და პარაზიტებს.

ბუნებრივის გზით პარიზის პროლეტარიატი თავისი კლასიური თვითშემეცნების განმტკიცების საშუალებით სოციალიზმის აღიარებამდე და სოციალურს მაქსიმალიზმამდე მივიდა. როგორც ვსთქვით, აქ არ იყო წინასწარი პროგრამა შემუშავებული ამისათვის და სწორედ ეს მომენტი არის საინტერესო პარიზის კომუნაში: პროლეტარიატი სტიქიურად მივიდა სოციალიზმის განხორციელებამდე. ეს მომენტი ნათლად ამტკიცებს, რომ პროლეტარიატს არ ძალუძს აიღოს ხელში პოლიტიკური მმართველობა და იმავე დროს ხელუხლებელი დასტოვოს ეკონომიური ცხოვრება, არ შეუდგეს სოციალური ცხოვრების გარდაქმნას. მართალია ამ დარგში კომუნამ დიდი შეცდომები და მოუმზადებლობა გამოიჩინა, დიდი ყოყმანი და გაურკვევლობა დაბადა, მაგრამ იგი ძალაუნებურად უბრუნდებოდა ეკონომიურს კითხვებსაც, როგორც მომხდარ რევოლიუციის ნამდვილ შინაარს. კომუნის გეგმა სოციალისტურის ხაზით მიდიოდა, მიუხედავად მისი უპროგრამობისა და გაურკვევლობის. იგივე არტურ არნუ თავის წიგნში ამბობს: „კომუნამ გადაჭრით გაშალა სოციალიზმის დროშა და წარმოადგენდა პირველს, სწორად დაწესებულ, რამოდენიმედ თანდათანობით მოქმედ მთავრობას, რომელმაც არა თავის ნების წინააღმდეგ მიიღო დასაყრდენად სოციალისტური პრინციპები, განაცხადა რა, რომ მის მიერ დაწყებული საქმე იყო არა მარტო პოლიტიკური თავისუფლების საქმე, არამედ სოციალური განხორციელებისაც“ *).

პარიზის კომუნის საქმიანობა და მისი გზები უდიდეს ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენს სოციალისტური კულტურისათვის.

პარიზის 1871 წლის რევოლიუციამ კაცობრიობას, მისი განახლებისათვის მებრძოლ მოწინავე რაზმებს პრაქტიკულად დაანახა, თუ როგორის გზებითა და საშუალებით უნდა ხდებოდეს მშრომელთა განთავისუფლება ამ რევოლიუციამ ჩვენ მოგვცა პროლეტარიატის სახელმწიფოს ფორმები, მისი დიქტატურის რეალური სახე.

ეს არის ის უდიდესი მონაპოვარი, რომელიც პარიზის მოძრაობამ შესძინა სოციალისტურს აზროვნებას. კომუნა, პროლეტარიატის რესპუბლიკა სოციალური ტრანსფორმაციის უდიდეს საშუალებას წარმოადგენს და მის ფორმებში შესაძლებელი ხდება კაპიტალისტური მეურნეობის ლიკვიდაცია და შექმნა სოციალისტური ურთიერთობის. კომუნა ამ მხრივ საბჭოთა სისტემის პროტოტიპს წარმოადგენს, მის წინამორბედსა და გზას გამკაფავს. პარიზის პროლეტარიატმა ნიადაგი ჩაუყარა იმ დიდს სისტემას, რომელიც, 50 წლის შემდეგ ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ გაალრმავა და გარკვეული სახე მისცა. პარიზის კომუნა და მისი მეთოდები გამოსავალი წერტილი არის ოქტომბრის რევოლიუციისათვის. მის მიერ შემზადებულ ნოყიერ ნიადაგზედ რუსეთის პროლეტარიატმა ააგო თავისი ძლევამოსილი მოძრაობა. აქ არის პარიზის კომუნის დიდი ისტორიული ღირებულება.

მაგრამ რუსეთის მოძრაობამ პარიზის კომუნას არა მარტო დადებით მოვლენებზედ ააგო თავისი გამარჯვება, მან პარიზის მოძრაობის შეცდომებიც გამოიყენა, ყველა მისი უარყოფითი თვისებებით ისარგებლა და თავისი ძლევამოსილს მსვლელობას ააშორა ის სენის რომელითაც დაავადმყოფებული იყო პარიზის კომუნა.

პარიზის კომუნა პირველი სუსტი ისტორიული ცდა იყო მუშათა კლასის პოლიტიკური ბატონობის. ამიტომ მას თან დაჰყვა მრავალი შეცდომა, რომელიც საბედისწერო შეიქნა მისთვის, ისტორიულ პირობების გამო იგი აუცილებლად უნდა დაცემულიყო და ასედაც მოხდა.

ერთი მთავარი დეფექტი, რომელიც ახასიათებდა მაშინდელ მოძრაობას, გარკვეულ სოციალისტურს პარტიისა და პროგრამის უქონლობაში გამოიხატება. არ იყო მოქმედების მთლიანი და ჩამოყალიბებული პროგრამა, არსად სჩანდა ერთი მთლიანი ორგანიზაცია მქონე პარტია რომელიც, სრულად შემოჰკრებდა თავის გარშემო მომქმედ ძალებს და გარკვეულ სახეს მისცემდა მოძრაობას. ასეთი ორგანიზაცია არ არსებობდა საფრანგეთში, პირველი ინტერნაციონალი უძლური იყო რაიმე ხელმძღვანელობა გაეწია რევოლიუციისათვის; ის რევოლიუციის დამარცხებას შემდეგ გამოელოდა მანიფესტებით.

პ. ლავროვი თავის წიგნში ამბობს: „რევოლიუციამ მოწინავე პარტიებს მოუმზადებელს მოუსწრო იმისათვის, რომ მათ ჩაეგდოთ თავიანთ ხელში მოძრაობა, მიეცათ მისთვის გარკვეული პროგრამა და გადაჭრით განეხორციელებინათ იგი. რევოლიუციამ ვერ იპოვნა მოწინავე პარტიებში პირები სამ-

*) იხ. „ტრიბუნა“ № 171.

**) იხ. П. Лавров: „Парижская Коммуна“, გვ. 75—6.

*) იხ. ლავროვის წიგნი გვ. 186.

მან შესძლო თავის დიდლენის ქვეშ დაეყენებინა მთელი სახელმწიფოებრივი აპარატის და თავის ნების აღმასრულებელ კაცებად აქცია მასთან თანაბარი სიმაღლეზედ მდგომი პიროვნებანი.

მისი როლი ინგლისით არ განისაზღვრება, იგი დიდმნიშვნელოვანია აგრეთვე რუსეთის საკითხშიაც.

ლექტორი ვრცლად შეეხო ლლოიდ-ჯორჯის მნიშვნელობას რუსეთის საკითხში.

# ახალი ამბები

◆ **ბათომის ნავთსადგური.** ბათომის ნავთსადგურში შემოვიდა 14 მარტს 4 იალქნიანი ნავი 1800 ფუთი სხვა და სხვა ტვირთით, 15 მარტს—იტალიის გემი „სარდინია" კონსტანტინოპოლიდან, „ფილიქსი" ტრაპიზუნიდგან 261 ტონი სხვა და სხვა ტვირთით, 54 მგზავრით და ერთი იალქნიანი ნავი. 16 მარტს—ნორვეგიის გემი კონსტანტინოპოლიდან 80 ტონი სხვა და სხვა ტვირთით და 18 მგზავრით და 1 იალქნიანი ნავი 18 და 19 მარტს:—საფრანგეთის გემი „სახარა" კონსტანტინოპოლიდან და ინგლისის გემი „შერფილდი" 1100 ტონი ტვირთით და 49 მგზავრით და ხუთი იალქნიანი ნავი 1,538 ფუთი სხვა და სხვა საქონლით. ნავთსადგურიდან გავიდ: 14 მარტს იტალიის გემი „კარნარო" კონსტანტინოპოლში 20 მგზავრით. 3 იალქნიანი ნავი 850 ფუთი სხვა და სხვა ტვირთით. 15 მარტს—სერბიის გემი „კოსსოვო" კონსტანტინოპოლში 10 მგზავრით 2 ხომალდი ანატოლიაში 800 ფუთი ნავთით 16 მარტს გავიდა კონსტანტინოპოლში იტალიის გემი „სარდინია", რუსეთის გემი „ალექსანდრა" —ნოვოროსისკში 18 ტონი სხვა და სხვა ტვირთით. 18 და 19 მარტს—საფრანგეთის გემი „სირკასი" კონსტანტინოპოლში 10 ტონ ხეტყით და 20 მგზავრით. 3 ხომალდი 2269 ფუთი ტვირთით 19 მარტს ღამის 12 საათზე ნავთსადგურში იდგა 6 გემი და 68 ხომალდი,

◆ **ქურდობა.** ყიფიანის ქ. № 7 მცხოვრებ მოქ. გორდელაძე გაქურდული იქმნა. მოპარულია 800 მილ. მან. ძვირფასი ნივთები, ქურდებში გამოტყდა მცირეწლოვანი გოგო მაღლაკელიძე, წაღებული ნივთები აღმოჩენილი იქნა და გადაეცა პატრონს, ხოლო ჩვენება გაეგზავნა მცირეწლოვანთა საქმეების განმხილველ კომისიას.

◆ **ქაფური.** მიწათ-მოქმედების კომისარიატმა მიიღო ჩაქვის სახალხო ძვირფას მამულისაგან ქაფურის პირველი პარტია (ცხუთი დაახლოვებით ერთი ფუთი წონით), რომელიც დამუშავებულია მამულში.

◆ **პროფმოძრაობის კვირა.** საქ. პროფკავშირების საბჭო აწყობს 1-დ ნ 7 აპრილამდე პროფმოძრაობის კვირას.

◆ **მკვლელობა.** საბჭოთა სახლში ყოფილ სასტუმრო „ბერლინის" დავლიანიძემ მოჰკლა რევოლვერით ქალაქის მოსამსახურე ალექსანდრე ბეგუჩაძე მკვლელი დაატუსაღეს.

◆ **ბანდიტთა ბრბოს დაჭერა.** სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლების მიერ, ქალაქის მილიციელების დახმარებით, აღმოჩენილ და დატუსაღებულ იქმნა 15 ბანდიტთა შემდგარი ბრბო, რომელიც მოვიდნენ ტფილისში დონის როსტოვ ბაქოდან და სხვა ქალაქებიდან. აღმოჩნდა, რომ ბანდიტები იმალებოდნენ არსენალის ქუჩაზე, სახ. № 10 ივანოვსა და დმიტრიევსკასთან. ბინაში აღმოჩნდა დიდძალი ნაძარცვი ქონება, მთელი ბრბო გადაეცა „ჩეკას".

— **კამაგირეში კომუნალურ მსახურთათვის.** ვინაიდან ჯერ კიდევ გამოურკვეველია, როდის იქნება შემოღებული ახალი ტარიფი შრომის გასამრჯელოზე ე ი. მარტიდან თუ აპრილიდან ს. პ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა: კომუნალურ მოსამსახურეთა და მომუშავეთა ანგარიშები (წყალზე და განათებაზე) წარდგენილ იქნას იმ პროფკავშირის სამართველოების დაწესებულებათა შუამდობით, რომელსაც ეკუთვნიან მოსამსახურენი, რომ გადაიხადონ ამ უკანასკნელებმა სრული ანგარიში 10 პროცენტის გამოკლებით.

— **კონსტანტინე გამსახურდია.** ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზე ხელოვანთა სასახლეში წარმოსთქვამს სიტყვას: ოსტვალდ შპენგლერის—დასავლეთის დაღუპვა (Der Untergang des Abendlandes) შესავლელი ბილეთები ხუთი ათასი მანეთი.

— **ვალუტის ბაზარი.** 20 მარტ. საფონდო ბირჟაზე უცხო ვალიუტის კურსი გამოიხატება შემდეგში: (ათ მან.)

| | |
|---|---|
| ოსმალ. ლირა ოქრო | 835 |
| ლირა ოსმალ. ბანკნოტ. | 175 |
| | 185 |
| იტალიანური „ | 11,5 |
| გერმანული მარკა | 1,2 |

განწყობილება მტკიცეა; მოთხოვნილება მნიშვნელოვანია; წინადადება კისუს ჰყია.

◆ **ქალაქის ნოხების დაყიდვა.** ქალაქის აღ. კომიტეტის მცირე პრეზიდიუმა ქალაქის ბიუჯეტის კომისიას მიანდო ქალაქ. აღ. კომიტეტის კუთვნილი ნოხები ტფილისიდან გატანის უფლებით, რომლისათვის უნდა გადაიხადონ ქალაქის სახარჯებლოდ ქალაქის და სახელმწიფო გადასახადი.

— **ტფილ. ქალ. აღ. კომიტეტში** ტფილისის ქალაქ. საბჭოს წევრი ამხ. გეიდენი დანიშნულია აღ. კომიტეტის გამგეობის განყოფილების გამგეთ.

# პარტიაში

**ახალი კავშირის სხდომა.** ოთხშაბათს მარტის 22 ს, სად. 7 საათზე გაზეთ „ტრიბუნის" რედაქციაში დანიშნულია ახალ. კავშირის სხდომა.

წევრების დასწრება სავალდებულოა.

**ახალ კავშირის პრეზიდიუმი.**

# გენუას კონფერენციის გარშემო

**საბოლოოთ დადგენილია.**

**ბორდო.** 15 მარტი. რომიდან იუწყებიან რომ საბოლაოთ გადაწყვეტილია გაიხსნას გენუას კონფერენცია 10 აპრილს.

**დღიური წესრიგი.**

**ნაუენი** 15 მარტი (რადიო) გენუას კონფერენციის დღიური წესრიგი შემუშავებული იქნება კანის კონფერენციის დადგენილობის მიხედვით. შედგენილი იქნება 5 კომისია: 1) რუსეთის აღსადგენათ 2) ფინანსურ საკითხებისათვის 3) ეკონომიურ და სავაჭრო კითხვებისათვის 4) საერთაშორისო გზათა მიმოსვლისათვის 5) ტრანსპორტისათვის.

**ამერიკას მთლათ უარი არ უთქვამს.**

**მოსკოვი** 16 მარტი. ჰავასის სააგენტოს ცნობით ამერიკის მთავრობის ერთმა უმაღლესმა პირმა განაცხადა რომ უარყოფითი დამოკიდებულება შეერთებულ შტატებისა გენუას კონფერენციისადმი სრულიად იმას არ ნიშნავს თითქო შეერთებული შტატები დაინტერესებული არ იყოს ევროპიული კითხვებით. შესაძლებელია რომ ამერიკის ელჩმა რომში, მონაწილეობა მიიღოს კონფერენციაში.

**ამერიკა რუსეთი და გენუა.**

**ბერლინი.** 2 მარტი „ნოვი მირი" სწერს შეერთებული შტატები გენუას კონფერენციაში მონაწილეობის მიუღებლობისა გამო ევროპას თავის ანაბარათ სტოვებს. ევროპიელ სახელმწიფოების კრედიტორები რომელნიც ამ ქამათ თვით პროცენტითაც კი არ ღებულობენ იმ ფულდის სესხისათვის რომელიც მიაწოდეს ევროპიელ მთავრობებს —ამერიკა გამოდის რა თავის ეგოისტურ ამერიკულ თუმცა არა შორს გამჭვრეტ პოლიტიკიდან—ფორმალურად მართალია. ევროპა არა თუ ვალს არ იხდის ასე განსინჯეთ არც პროც.-საც. ამასთანავე საფრანგეთს საშუალება აქვს მრავალ რიცხოვან არმიის შენახვისა ამ გვარად საფრანგეთის არმია ფაქტიურად ინახება ამერიკულ ფულებით და საზოგადოთ ევროპიული მთავრობა თავისი დიდი პოლიტიკის საწარმოათ ხარჯებს ფარავს ამერიკულ ფულებით. შეერთებული შტატების ანტიევროპიული პოლიტიკის ბუნებრივი შედეგია მისი დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთისადმი. რადგან შეერთებულ შტატებს არა სურს მიიღოს მონაწილეობა ევროპის აღდგენაში, ცხადია მას არ მონაწილეობა არც რუსეთის აღდგენაში რომელიც დღეს წარმოადგენს ერთს უმთავრეს ამოცანას ევროპიულ პოლიტიკისას. ევროპიელ საქმეებში მონაწილეობიდან ამერიკის თავის გამორიცხვასთან დაკავშირებულია ამერიკის მთავრობის მისწრაფება აზიურ საქმეების. რაც შეიძლება მეტად სრულად გადაწყვეტისადმი. ჩინეთის საკითხის გადაჭრა და იაპონიასთან კომპრომისის შეკვრა. ამერიკის იმპერიალიზმს იაპონიის სახით ჰყავს ერთი უკიდურესი შეურიგებელი მოქიშპე ჩინეთში და შორეულ აღმოსავლეთში. ამერიკის მთავრობამ, მსურველმა მომავალ არჩევნებში კოზირის მიღებისათვის იაპონიასთან შანდუნის შესახებ შეთანხმების ხელშეკრულება დადვა. აქ ამერიკამ მიიღო ერთგვარი დათმობა, რომლის ნაცვლად იაპონიას მიანიჭა ფაქტიურად თავისუფალი მოქმედება შორეულ აღმოსავლეთში. შეერთებული შტატების პოლიტიკა ერთობ, არა ხელსაყრელია საბჭოთა რუსეთისათვის. ერთი კი უეჭველია, რომ იაპონია-ამერიკის წინააღმდეგობის გადაჭრა შეუძლებელია შეთანხმებით: ის თავს აწოყოფს საქმარისი სიმწვავით ამ შეთანხმების პრაქტიკულ განხორციელების დროს.

ჯერ ჯერობით კი საბჭოთა რუსეთი იაპონიის ინტერვენციონებისაგან ციმბირის დასაცველად, იმედს ამყარებს იაპონიის მცხოვრებთა ფართო მასის ოპოზიციაზე იაპონიის მეკაცებლების მიმართ და თავის წითელი არმიის სიძლიერეზე

**მოსკოვი.** მარტ, 19. სტეფანის სააგენტო უარჰყოფს ხმებს გენუას კონფერენციის გადადების შესაძლებლობისა. სააგენტოს სიტყვით, ვადა 10 აპრილისა საბოლოოდ მიღებულია დაინტერესებულ მთავრობათათვის.

**ბორდო.** მარტ, 17. „დეილი ტელეგრაფი" აღნიშნავს, რომ უმაღლეს ავტორიტეტულ პირთა განცხადებით, ბრიტანეთის, იტალიის მთავრობა და მრავალ მცირე მოკავშირე და აგრეთვე ნეიტრალურმა სახელმწიფოებმა მტკიცედ გარდასწყვიტეს მხარი მისცენ გენუას კონფერენციას, რათა მიაღწიონ ევროპისათვის დადებით შედეგებს.

**ამერიკა და გენუა.**

**მოსკოვი.** მარტ. 20. ჰანნოვერიდან იუწყებიან: ლლოიდ-ჯორჯი ეწევა თავგანწირულ ბრძოლას, რათა დაარწმუნოს გარდინგი გენუას კონფერენციაზე ოფიციალურ წარმომადგენლის გაგზავნის საჭიროებაში.

**მოსკოვი.** მარტ. 18. პრეზიდენტ გარდინგმა გარდასწყვიტა გაგზავნოს გენუას კონფერენციაზე თავისი წარმომადგენელი როგორც მოწამე და არა ისე, როგორც აქტიური მონაწილე.

**ბალტიის მხარის სახელმწიფოები და გენუას კონფერენცია.**

**მოსკოვი.** მარტ. 19. პოლონეთის ელჩმა ლატვიაში ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ კონფერენცია ბალტიის მხარის სახელმწიფოებისა ვარშავაში იმუშავებს საერთო პოლიტიკურ ხაზს ბალტიის მხარის სახელმწიფოების მოქმედებისას გენუას კონფერენციაზე.

ბალტიკის სახელმწიფოების დაახლოვება ხელს შეუწყობს აღმოსავლეთ ევროპის ზავის გამაგრებას. ყრილობა გაადვილებს ნორმალურ განწყობილებას პოლონეთსა და ლატვიის შორის და თანაც განიხილავს საკითხს პოლონეთ—ფინეთის სამხედრო ხელშეკრულებისას და სავაჭრო ხელშეკრულებებს ლატვიასა და ესტონეთს შორის. პოლონეთის ელჩმა ფინეთში სოკოლნიცკიმ განაცხადა, რომ ფინეთი შეხვდება ვარშავაში არა მარტო პოლონეთის, აგრეთვე ბალტიის მხარის სახელმწიფოებსაც. სამმა მთავარმა ფინეთის პარტიამ გამოსთქვა აზრი პოლონეთ—ფინეთის კავშირზე.

**გენუას კონფერენციისათვის მზადება.** მოსკოვი 20 მარტი „პრავდა" სწერს: გენუას კონფერენციისათვის მზადება ევროპაში ყოველი მიმართულებით სწარმოებს: დიპლომატები ამზადებენ განცხადებებს, რომლითაც ისინი გამოვლენ კონფერენციაზე და ჰადრაკულ გადასვლას, რომლითაც მათ ხურთ გაუმასპინძლდნენ მოწინააღმდეგეთ. ნუსხები ჯამს უკეთებენ იმ შემოსავალს რომელიც მათ სურთ შეაგროვონ რუსეთიდან რევოლიუციის ზარალის ასანაზღაურებლად, ამასთან მარტო ერთს საფრანგეთში ნაანგარიშებია 1 600,000 პრეტენზია რუსეთისადმი წარსადგენათ ბალტიის მხარის სახელმწიფოები აწყობენ კონფერენციას, რომელიც, როგორც ზოგიერთი გაზეთები ამტკიცებენ მიიყვან მათ პოლიტიკურ კავშირამდე. რომ ეს კავშირი მიმართული იქნება რუსეთის წინააღმდეგ ამაში რასაკვირველია საეჭვო არა არის რა, კერძოთ პოლონეთი და ფინეთი მსჯელობენ სამხედრო კავშირის საკითხზე. და ბოლოს მზადება სწარმოებს იმ დაქირავებულ ავაზაკებით ევროპიულ კაპიტალისა რომელსაც ეწოდება „რუსეთის სახალხო არმია". როგორც ინგლისის გაზეთი „დეილ ჰერალდი" იუწყება ვრანგელის ბრბო ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვის მეთაურობით და გურკო ემზადებიან პოლონეთ რუსეთთან ომის ატეხის დროს მონაწილეობა მიიღონ ბრძოლაში რუსეთის წინააღმდეგ, როგორც განსაკუთრებული თეთრი არმია. გენერალ ვრანგელი ამასთანავე ტრაბახობს, რომ მას ყავს ბალკანეთის ტერიტორიაზე 50,000 ჯარის კაცი, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ სამხედრო ორგანიზაცია და დისციპლინა და რომელნიც ყოველთვის მზად არიან საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გამოსასვლელად. ამავე დროს პეტლიურა ემზადება რუმინიის ტერიტორიაზე უკრაინაზე გასამხედრებლად. ყველა ამ ცნობათა შემდეგ „პრავდა" სწერს, რომ მომზადება ჩვენც მოგვიხდება. და ეს მზადება უნდა მოხდეს ორი მიმართულებით—მომზადება ამა თუ იმ ფინანსიურ და ეკონომიურ ხასიათის მასალებისა და მომზადება ჩვენი წითელი არმიისა განიაცდელის დროს.

„და თუ, სწერს გაზეთი, რომელიმე ჩვენი მტერთაგანი გაბედავს ჩვენი საზღვრების ხელშეუხებლობის დარღვევას მაშინ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შედეგი ამ ცდისა სრულიად გაამართლებენ ამხ. ტროცკის სიტყვას, თქმულს საბჭოთა ყრილობაზე, რომ ეხლა 1918 წ. არ არის. და რომ ეხლა უფრო დევლია გაფართოვება და არა შევიწროება საბჭოთა რესპუბლიკისა.

**ინტრიგა და ავანტიურა.**

**მოსკოვი** 10 მარტი. „იზვესტია" მოწინავეში აღნიშნავს, რომ ინტრიგანების მუშაობა ვითარდება ყოველ მხრივ. გენუას კონფერენციის წინ ჩვენ ვხედავთ ძველი გეგმების აღდგენის ცდებს შესახებ განუწყვეტელ ანტი-ბოლშევიკური რკალის შედგენისა ჩრდილოეთის ზღვიდან სამხრეთის ზღვამდე. ბალტიის მხარეებში ინტრიგები მიდის სოფლის სვლით. უფრო სიმპტომატიურ გამოაშკარავებას ფართოდ ეძლევა ფინეთ-პოლონეთის კავშირის პროექტი რუსეთის წინააღმდეგ.

მაგრამ ვარშავაში არ ჩერდება ინტრიგანების მუშაობა, იგი მიდის სამხრეთით. პეტლიურას ბანდები შედეგენს შემაერთებელ რგოლს პოლონეთ-რუმინეთის შორის. რუმინიაში აიარაღებენ პეტლიურის წარმომადგენლებს, რომლებიც რუმინიის სამხედრო ხელისუფლებასთან იმყოფებიან ძლიერ მჭიდრო კავშირში.

გაზეთები იუწყებიან იმის შესახებ, რომ რუმინიის არსენალიდან პეტლიუ-

ხედრო სათადარიგო მოიზადებითა და ცოდნით, რომ შექმნათ მოქმედების გეგმა, შეფარდებული შექმნილ გარემოებასთან»*).

ამ გ რემოებამ დაჰქსაქსა რევოლიუციონური ძალები, შეასუსტა მისი სიძლიერე; პირობები მუშავდებოდა არა წინასწარ გარკვეული გეგმით. შემთხვევითი მომენტები სწყვეტენ რადიკალურს კითხვებს. უპროგრამობამ და გაურკვეველი ხელმძღვანელი პარტიის უყოლობამ არსებითად გადასწყვიტა რევოლიუციის ბედი. მოწინააღმდეგე ძალამ შესძლო ორგანიზაციულად ჩამოყალიბება, მან ვერსალში შექმნა დიდი კონტრრევოლიუციონური არმია და პარიზი, მის რკალში გახვია.

რევოლიუციის სარბიელი ვერ გასცილდა პარიზს, ამისათვის არავითარი ზომები არ იყო მიღებული.

იგი იზოლიაციაში დარჩა.

რევოლიუციის ხელმძღვანელებს არ ჰქონდათ გარკვეული გეგმა, პროგრამები, ამიტომ მრავალი ძვირფასი მომენტები იქმნა ხელიდან გაშვებული, რითაც ისარგებლა მოწინააღმდეგე ძალამ.

„პარიზი, როგორც წრე გათანასწორებულ მუშათა პროლეტარიატისა, მოითხოვდა რევოლიუციონურს, ე. ი. დიქტატორულს ზომებს ახალ წყობილების მტრების მიმართ"—სწერს ლავროვი*) მაგრამ უმეტესობამ ეს ვერ შეიგნო და რევოლიუციის სახელით თავისუფლება მიანიჭა მოწინააღმდეგეებს. დიქტატორული ზომების მიუღებლობამ გადასწყვიტა სხვა მრავალი კითხვები, სხვათა შორის დიდი ხნის განმავლობაში ხელუხლებელი დარჩა ბურჟუაზიის ეკონომიური უპირატესობა.

იგივე პ. ლავროვი სამართლიანად აღნიშნავს, რომ თავისუფლებაზე ლაპარაკი მაშინ შეიძლება, როდესაც მოხდება ეკონომიური გათანასწორება სოციალური კლასებისა. სანამ ეს არ მომხდარა აუცილებელი არის რევოლიუციონური დიქტატურა, ძალდატანება ეკონომიური წყობილების გარდასაქმნელად. „..უპირველესი ამოცანა სოციალური რევოლიუციისა, ურომლისოდაც შეუძლებელია გადაწყვეტილი იქნეს სხვა რომელიმე ამოცანა, არის უარყოფა მთელი ძველი ეკონომიური ლეგალობისა რევოლიუციონურის გზით და განმტკიცება ახალი ეკონომიური წყობილებისა",—ამბობს ავტორი. (იქვე) „თუ ამბოხებული პროლეტარიატი შესძლებს გამარჯვებას, მან პირდაპირ უნდა მოახდინოს ერთ დ იმავე დროს ეკონომიური დ პოლიტიკური რევოლიუცია; საჭიროა ერთად წაართვას მოწინააღმდეგეები ეკონომიური ძალა და თვით შეიქმნეს ერთად ერთი შეიარაღებულ ძალად ახალი წყობილების"—განმარტავს დიდი რევოლიუციონერი (იქვე 171) კომუნამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ორივე მიმართულებით, მაგრამ მისმა ზომებმა დაიგვიანეს ეკონომიურს სფეროში. მოწინააღმდეგემ შესძლო დიდი დოვლათისა და სიმდიდრის გაზიდვა.

მაგრამ კომუნის ძირითადი შეცდომა მარტო იმაში კი არ გამოიხატა, რომ მან სასწრაფოდ არ მიიღო ზომები ბურჟუაზიის ეკონომიური დამონავებისათვის; კომუნამ თავისი მოქმედების სარბიელი მარტო პარიზით შემოსაზღვრა და ვერ შესძლო ფართო აგიტაციის წარმოება მის გადაღმა. კომუნა მხოლოდ ქალაქის რევოლიუციონური მოძრაობა შექმნა. სოფელი მის საწინააღმდეგოთ იქმნა ამხედრებული. სოფელი დაუპირდაპირდა პარიზს და ამ გარემოებამ გადასწყვიტა მისი ბედიც.

გარდა ამისა კომუნამ ვერ შექმნა მტკიცე შეიარაღებული ძალა, სამხედრო ორგანიზაცია. გადამჭრელ ბრძოლის მომენტებში ის ვერ დაუპირისპირდებოდა მტრებს.

ამ გვარად მთელ რიგ კარდინალურსა და დიდ მნიშვნელოვან კითხვებში კომუნის ხელმძღვანელნი მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ. მათ არ ჰქონდათ გარკვეული პროგრამა, მხოლოდ მომენტი სწყვეტდა კითხვებს. უპროგრამობამ, ჩამოყალიბებული გარკვეული გეგმისა და ხელმძღვანელი ძალის უქონლობამ დაღუპა პარიზის რევოლიუცია.

72 დღე იარსება კომუნამ, მაისის 28 ტიერის ჯალათებმა იგი დაამარცხეს და კომუნარებზე ისე ნადირობდნენ, როგორც გარეულს მხეცებზე.

მაგრამ პარიზის კომუნამ უდიდესი ისტორიული როლი ითამაშა და სოციალური რევოლიუციის სავალი გზები წინასწარ განსაზღვრა. კომუნის ისტორიული დევნილი უდიდესი და დაუფასებელია. თანამედროვე რევოლიუციას თავისი გასამართლებელი საბუთები პარიზის კომუნაში აქვს და იგი იმ გეგმით და იმ საფუძვლებზე არის აგებული, როგორც მოგვცა 1871 წლის აჯანყებამ. დღევანდელი რევოლიუცია წინასწარი გეგმებით და გარკვეული ხელმძღვანელი პარტიის მეთაურობით ხდება. იგი არ არის მარტო ერთი ქალაქის აჯანყება, მან მსოფლიოს ერთი მეექვსედი ტერიტორია დაიჭირა და შეაერთა სოფელი და ქალაქი; მას ზურგს უმაგრებს მთელი ქვეყნის პროლეტარული მასები. აქ არის ის ძირითადი განსხვავება, რომელიც კომუნის მდგომარეობას ანსხვავებს თანამედროვე რევოლიუციის პირობებისაგან.

კომუნა დაეცა, მაგრამ მისი სახელი და დავალი უკვდავი დარჩა.

ჩვენ შეგვიძლია ჩვენი წერილი დავამთავროთ პ. ლავროვის სიტყვით, რომელმაც მეტად მნიშვნელოვანი და ღრმა ანალიზი გაუკეთა ამ მოძრაობას.

„პარიზის კომუნამ, როგორც იდეამ, როგორც ახალმა რევოლიუციამ, წაუშლელი კვალი აღმოჰხა სოციალისტური აზროვნების ისტორიაში, მაგრამ მისი ყველაზე უფრო ძვირფასი ფურცლები კაცობრიობის რაინდობის ისტორიაში დარჩებიან ის ათი ათასი უსახელო, დავიწყებული გმირები, წამებულნი ქალნი და კაცნი, რომელნიც იბრძოდნენ და დაიხოცნენ ბარიკადებზე მაისის 20—28 დღეებში, ეწამენ და დაიხოცნენ ციხეებში, ახალს კალედონიაში*), და თავიანთი სისხლით, თავიანთი ტანჯვით გაანოყიერეს ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდება მომავალი ძლევამოსილი სოციალური რევოლიუცია".

**ხიმ. ხუნდაძე.**

*) იხ. იქვე—160.

*) იქვე გვ. 144.

*) ახალი კალედონია საფრანგეთის კოლონიალური პატარა კუნძულია, სადაც გადასახლებული იქნა 1871 წ. კოლონიზაციის მიზნით რამდენიმე ათასი პარიზის კომუნარი.

ს. ხ.

რის მომხრეებზე გაცემულია ათიათა-ათასი ვინტოვკა, ბევრი ტყვიისმფრქვეველი და რამოდენიმე ათეული მძიმე იარაღი. თუ მივუმატებთ ამას ურანგელის ჯარს, რომელშიაც დარჩნენ მეტად თავგანწირული ბანდიტები და რომელიც იმყოფება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე საფრანგეთის მთავრობის ხარჯზე და ბრძანებით, მაშინ სურათს მივიღებთ გაცილებით სრულს. თავდასხმა, თუ კი იგი შესდგება, მზადდება უკრაინის მხრით. ყოველ დღეს მოაქვს ჩვენი მოსაზრების დამამტკიცებელი საბუთი. სრულიად ცხადია, რომ სუსტ და მერყევ ცდასთან საზავო შეთანხმებისა საქმეთა რუმინეთის, პოლონეთის საზღვარზე ამზადებს მასზე (რუსეთზე) სამხედრო წინააღმდეგობის ახალ ცდას, ან შეიძლება მის წინააღმდეგ ახალ სამხედრო გამოლაშქრებას. ვითვალისწინებთ რა ასეთ მოულოდნელ (არა ჩვენთვის!) გამოსვლას ხმა მაღლა მოლაპარაკებათა შესახებ ევროპის აღდგენისა, შესახებ საერთო მშვიდობიანობის განმტკიცებისა და სხ.

ჩვენ კვლავ გამოვსთქვამთ მტკიცე რწმენას იმაში, რომ საბჭოთა რესპუბლიკა მოიგერიებს ამ ახალ თავდასხმას, როგორც მოიგერია ძველი თავდასხმანი და ბოლოს და ბოლოს ამისაგან იზარალებენ ავანტიურისტები და ინტრიგანები.

**იტალიის პროგრამა.**

**მოსკოვი,** 20 მარტი. გაზეთ „კორიერე დელა სერა" იუწყება, რომ გენუას კონფერენციის მუშაობის პროგრამა სამ ნაწილად განიყოფება: პირველი ეხება იმ საკითხებს, რომელიც გამომდინარეობს კანის რეზოლიუციიდან, მეორე ნაწილი იკუთვნის მშვიდობიანობის საკითხს ტეტრებს მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ხასიათისა. ნარჩენ საკითხების განსახილველად დანიშნულია 4 კომისია ექსპერტებისა. ამ კომისიიდან პირველმა უნდა განიხილოს ის პირობები, რომელზედაც დამყარებული უნდა იქნას რუსეთთან დამოკიდებულება. მეორე კომისია შეუდგება ფინანსიურ საკითხების გარჩევას. მესამე სავაჭრო-სამრეწველოს და მეოთხე ტრანსპორტის საკითხს. ამასთან გაზეთი უმატებს. „კომისიას, რომელიც იხილავს საკითხს რუსეთთან დამოკიდებულებისას, გადაწყვეტილი აქვს წარმოადგინოს პროექტი საერთო კონფერენციისა ევროპიელ სახელმწიფოებსა და რუსეთის შორის. ამ კონფერენციამ უნდა გადაჭრას შემდეგი საკითხი: 1) კითხვა: ცნობილ იქმნას, თუ არა იქმნას ცნობილი რუსეთის მთავრობა. ამ მუხლში კომისია კმაყოფილდება მხოლოდ საკითხის განხილვას სასურველად მიჩნევით, რუ ეთი იქნას თუ არა ცნობილი როგორც სახელმწიფო განუწყვეტლივ გამაგრძელებელი რუსეთის იმპერიისა, თუ როგორც ახალი სახელმწიფო.

2) მეორე საკითხი: ცნობილი იქნება თუ არა რუსეთის მიერ თავისი ვალები. აქ კომისია, როგორც ემჩნევა უერთდება ინგლისის თვალსაზრისს. 3) საკითხი შეეხება უცხოელ ვაჭრობის გარანტიას რუსეთში. ამ საკითხის შესახებ კომისიის მიერ შემუშავებულია მთელი წყება სტატიები, რომელნიც წარდგენილი იქნება კონფერენციის განსახილველად.

4) საკითხი დამყარება (დაბინავებული) ოფიციალურ აგენტებისა რუსეთში „ტაიმსი" აქვეყნებს ყველა ამ ცნობებს სრულიად უკომენტარიოთ. როგორც სჩანს ყველა ამ ცნობებში ჩამოთვლილი პროექტები ახასიათებს წმინდა იტალიურ თვალთახედვას. თუ რომ ეს ცნობა მოგონილი არა არის, შესაძლებელია რომ ეს პროექტები წარმოყენებული, იქმნას იტალიის დელეგაციის მიერ ლონდონის ექსპერტების კონფერენციაზე.

—

**ახალი ხმები.**

**მოსკოვი,** 20 მარტი. ლონდონიდან იუწყებიან, რომ ინგლისური გაზეთები აცხადებენ პარიზში გავრცელებულ ხმებს შესახებ გენუას კონფერენციის გადადებაზე პარიზელი კორესპონდენტი ინგლისურ გაზეთისა „დეილი მეილ" სწერს: ეხლა შესაძლებელია, რომ გენუას კონფერენცია არ შესდგეს. იტალია ჯერ კიდევ წელში არ გამართულა პოლიტიკური კრიზისის გამო. მოსკოვის მთავრობა აგრესიულ ზომებს ღებულობს თვით კონფერენციის წინა დღეებში. თუ ყველა ამას დაუმატებთ საფრანგეთის მუდმივ შიშს შესახებ კონფერენციის პროგრამისა და ინგლისში ეხლახან შექმნილ კრიზისის ევროპის პოლიტიკურ ავტორიტეტთა აზრით, მთელი გეგმა გენუას კონფერენციისა აუცილებლად უნდა ჩაიფუშოს. გაზეთი „ვესტმინსტერი" სწერს: ჯერ გადაწყვეტილება კონფერენციის გადადებისა განსაზღვრულ დრომდე მიღებული არ არის, მაგრამ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ კონფერენცია არ შესდგება არც ერთ მოსალოდნელ ვადაში.

კონფერენციის საკითხი კატასტროფულ ხასიათს ღებულობს ამერიკის მიერ მოკავშირეებიდან ომის ხარჯების გადახდის მოთხოვნისა გამო, ეს ნაბიჯი ამოწმებს ამერიკის არაკეთილ განწყობილებას ევროპისადმი. ამერიკა უარს აცხადებს, საფრანგეთი ყოყმანობს, ინგლისმა არ იცის კონფერენციის ინიციატორი, გადამდგარია თუ არა, გერმანიას შეუძლია გენუას გარეშე რუსეთთან მოლაპარაკება. რუსეთმა მიიღო მისთვის აპირო მიუღებელი ეფექტი იმ ფაქტით, რომ მიწვეულ იქმნა გენუაში. საქმეა რომ თვით კონფერენცია მისცემს მას მეტს რამეს. რუსეთი აშკარად სცდილობს დაადგინოს თავისი დამატებულება და დამოკიდებულება მით, რომ უარსაყოფს კონფერენციის გარეშე მის მიერ ნაკარნახევ პირობებისა.

მოჰყავს რა ყველა ეს ცნობები, „დეილი ნიუსი" თავის მხრით ამტკიცებს რომ კონფერენცია შესდგება და რომ ყველა ევროპის სახელმწიფოები საქმიანათ ემზადებიან მისთვის.

# უცხოეთი

**საერთაშორისო კონფერენცია.**

**ნაუენი.** 17 მარტი. შეერთებულ შტატების სენატში სენატორ კამბერმა შეიტანა წინადადება, ერთა ლიგის დახმარებით ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, გერმანიის, ისპანიის, ავსტრიის და რუსეთის შორის შეთანხმებაზე შესახებ საერთაშორისო კონფერენციის მოწვევისა სადაო საკითხების გადასაწყვეტად, ახალი ომის შესაძლებლობის შემთხვევაში, თუ ეს კონფერენცია ვერ მიაღწევს დადებით შედეგებს, მაშინ ყოველ შემთხვევაში სამხედრო მოქმედებანი მეომარ მხარეთა შორის უნდა იწყებოდეს არა უადრეს 6 თვისა.

**ლოკაუტი ინგლისში**

**მოსკოვი.** 19 მარტი. ლონდონიდან 13 მარტს იუწყებიან: დაიწყო ლოკაუტი მანქანის მშენებლობის წარმოების გაერთიანებულ კავშირის წევრებისა. ლოკაუტი იტევს 300,000 მუშას და გამოწვეულია, როგორც მტკიცდება, მანქანის მშენებლობის მუშათა პროფკავშირის ცნობით, სამუშაოს მიმწოდებელთა გადაწყვეტილებით, რომელიც შეიცავს ზედმეტი მუშაობის სისტემატიურად გაყვანას, ეს იმ დროს, როდესაც უმუშევრობა და შემცირებული სამუშაო კვირა შეიქმნა ჩვეულებრივი მოვლენა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. „დეილი ჰერალდის". სიტყვით, დამქირავებელნი მოითხოვენ განუსაზღვრელ ბატონობის უფლებას თავის წარმოებაში, რაც ეწინააღმდეგება ტრედიუნიონების ყველა ძირითად პრინციპებს.

**ლოიდ ჯორჯის მდგომარეობისათვის.**

**მოსკოვი.** 20 მარტი. ლონდონიდან 15 მარტს შეგვატყობინეს: „ვესტმინსტერ გაზეტა" სწერს, რომ უახლოესი დღეები იქნება გენუასთვის ძლიერ კრიტიკული და ითამაშებს მნიშვნელოვან როლს ლოიდ ჯორჯის მდგომარეობის გამოსარკვევად.

— ჰანოვერიდან 16 მარტს გვატყობინებენ ტელეგრაფით: ინგლისის სამთავრობო კოალიცია სწრაფად იშლება. გაზ. „მატინი"-ს ცნობით, კრიზისი იმდენად გამწვავდა, რომ შესაძლებელია ლოიდ ჯორჯის გადადგომა.

**უწესრიგობანი გენუაში.**

**ჰანნოვერი.** 8 მარტი. მილანიდან მოსული ცნობების თანახმად, ფაშისტებმა მოახდინეს უწესრიგობანი გენუაში. შეცვივდნენ რა ისინი სოციალისტურ გაზეთების რედაქციაში, მოახდინეს ნამდვილი დარბევა. გენუას მუშათა პალატამ გამოაცხადა საერთო 24 საათიანი გაფიცვა საპროტესტოდ.

**ამერიკა გაფიცვის მუქარის ქვეშ.**

**ლონდონი** 17 მარტი. ვაშინგტონიდან მოსულ ცნობების მიხედვით, ოფიციალურ წრეებში შიშობენ, რომ ნახშირმთხრელების გაფიცვის მუქარა—მეტად სერიოზულია. გაფიცვის გამოცხადება მოსალოდნელია აპრილის 1, მაღაროების მეპატრონეთა მიერ არბიტრაჟის უარყოფის გამო.

**ბალტიკის სახელმწიფონი და რუსეთი.**

**მოსკოვი.** 20 მარტი. პოლონეთის გაზეთი „რაბოტნიკი" გამოსთქვამს მოსაზრებას, რომ ვარშავის კონფერენციის შედეგებში შეიკვრება პირობა ფინლიანდიის, ესტონეთის, ლატვიის და პოლონეთის შორის. „რეჩ პოსპოლიტა" სწერს, რომ ყოველი ცდა რუსეთის ევროპიულ ზღვებისაგან მოწყვეტისა იქნება უდიდესი სისულელე. რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ შეურიგდება იმას, რომ ბალტიკის ზღვა იქნეს მისთვის დაკეტილი. ბალტიკის ხალხების დამოუკიდებლობა უნდა იქნას უზრუნველყოფილი, მაგრამ რუსეთის ხალხის ეკონომიური ხელმწვდომა ბალტიის ზღვისადმი აგრეთვე უნდა იქნას უზრუნველყოფილი: რუსეთს სჭირდება ბალტიის ზღვა, მაგრამ ბალტიის სახელმწიფოებსაც ესაჭიროება რუსეთი. ეს მოთხოვნილებანი შეიძლება იქმნას დაკმაყოფილებული რუსეთთან ეკონომიურ ხელშეკრულების დადებით.

**ახლო-აღმოსავლეთის კონფერენცია.**

**მოსკოვი.** 19 მარტი. ჰანნოვერიდან მოსულ ცნობების მიხედვით, ლონდონის ოფიციალურ წრეებში უარყოფენ პარიზის ცნობას ახლო-აღმოსავლეთის საქმეების გამო კონფერენციის გადადების შესახებ. კონფერენცია გაგრძელდება არა უმეტეს ერთი კვირისა. ლორდ კერზონი, ბრიტანეთის დელეგაციასთან ერთად, მიემგზავრება პარიზში სამშაბათს. კონფერენციას ეძლევა დიდი მნიშვნელობა. საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, იგი წარმოადგენს ინგლისისათვის, საზავო კონფერენციის დროიდან, ყველაზე უფრო კრიტიკულ მოვლენას.

**ეგვიპტის დამოუკიდებლობის გამოცხადება.**

**მოსკოვი.** 20 მარტი. ეგვიპტის სულთანის რესკრიპტით ეგვიპტე გამოცხადებულია დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ. სულთანმა მიიღო ეგვიპტის ხელმწიფის ხარისხი.

**სამი ინტერნაციონალის კონფერენცია.**

**მოსკოვი.** 20 მარტი. ვენის ინტერნაციონალურ გაერთიანების სეკრეტარიატი წინადადებას იძლევა დანიშნულ იქნას სამივე ინტერნაციონალის კონფერენცია 25 მარტს ბერლინში. კონფერენციაზე მოვლენ სამივე ინტერნაციონალის აღმასკომები, რომლებიც განიხილავენ გაფართოებულ კონფერენციის მოწვევის საკითხს.

# სტ. შალვა ტურაბელიძე

(მოგონება).

არიან პიროვნებანი, რომელთაც გაუდიდებს ბედი და აამაღლებს სიპატიო სიმაღლემდე, არიან პატარა პიროვნებანი, რომელთაც ხშირად ისტორიის დუღილი ზედა პირზე ამოატივტივებს და ყურადღების ფოკუსად გახდის.

არიან პიროვნებანი, მაღალი სულის, მდიდარი ბუნებით თავგანწირული და შეუდრეკელი ბრძოლის უნარის, მაგრამ მათ იცნობს მხოლოდ პატარა წრე მეგობრების, პატარა ჯგუფი ამხანაგების. ასეთ პიროვნებათა რიგში შალვა ტურაბელიძეს პირველი ადგილი უჭირავს.

შალიკოს ახლოს მცნობისათვის, მისი გულითადი მეგობრისათვის, კიდევ ძნელია მისი ხასიათის უმთავრესი თვისებების აღნიშვნა.

მე მინდა მოვიგონო რამოდენიმე შტრიხი მისი ცხოვრებიდან.

მე მხოლოდ ერთად-ერთს პიროვნებას ვიცნობდი, რომელშიაც ვერ ვპოულობდი ეგოისტურ სულისკვეთებას, ანგარიშს ზრახვებს, კარიერულ მისწრაფებებს და ამ ღლეის სურვილს. ეს პიროვნება შალიკო იყო.

მაგონდება 1916 წელი. ქუთაისის ყოფილ სააზნაურო გიმნაზიის ერთი-ერთი კლასის ოთახში შეკრებილი ვართ მოწაფეები, რომლებიც შალიკოს ხელმძღვანელობით ვეცნობით არჩილის ნააზრევს და მისი პარტიის პროგრამულ მუხლებს.

ყოველ ჩვენგანს ქართულ ლიტერატურის სახელმძღვანელოდ გვაქვს წამოღებული, როგორც შეკრების მიზეზის აღსანიშნავი არა ხელსაყრელი პიროვნების დროს.

შალიკოს საუბრის თემა რევოლუციონერის პრინციპს შეეხება.

ისმის კარებზე კაკუნი. შემოდის განსვენებული იოსებ ოცხელი. გვეკითხება შეკრების მიზეზს. პასუხი—ლიტერატურული წრის მუშაობა. გამოცდილ და ფსიქოლოგ—პედაგოგის გულმა ჩვენს პასუხზედ უკეთ კარგად იცის შეკრების მიზეზი. ორი წუთით ჩერდება. სიფრთხილეს გვირჩევს და მიდის.

საუბარი გრძელდება... შემდეგ დიდ-ფეხში გამოვდივართ და საყვარელი აღმზრდელის ირგვლივ თავს ვიყრით. იოსების გონიერი შეხედვა ყოველ ჩვენგანში არჩევს დადებითსა და უარყოფით თვისებებს. მის მიხედვით იგი არჩევს გვაძლევს. შალიკოს კარგს მომავალს უქადის და დასძენს, რომ მის ბიოგრაფიაში ალბად მისი აღმზრდელის სახელიც იქნება აღნიშნული.

მაგრამ შალიკომ თავის ბიოგრაფიას თავისი სისხლით სწერს კაზაზების სამარეზედ და ამით საყვარელი აღმზრდელის მამულიშვილურ დარიგებას თავის სიცოცხლეს სწირავს.

შალიკო 1917—1918 წ. ენერგიულად მუშაობს კიდევ პოლიტიკურ ნიადაგზე, მაგრამ შემდეგ ორგანიზაციიდან გადის. მის სულს აღარ აკმაყოფილებს პოლიტიკური ბრძოლა, როდესაც იგი აღარ მოითხოვს გმირულ თავგანწირვას მედგარ ბრძოლას. იგი ანარხიზმის გავლენის ქვეშ სდგას ნაწილობრივ, რაც ხელს უწყობს სულის ოპლობის გაღრმავებას, უსაზღვრო ყოფის კოშმარულ სურათს.

მისთვის არსებობს მხოლოდ საყვარელს დედა და და-ძმა, რომელიც იდეალურად უყვარს. ამ მსოფლიოსთან მას აკავშირებს მხოლოდ მათი სიყვარული, მათი პატივისცემა.

1921 წლის დასაწყისში ტფილისში სდგება სტუდენტთა წრე, სადაც თავს იყრის სო.-ფ. დ. პარტიის მოწინავე ახალგაზრდები. გადმოსული ქუთაისიდან. ამ წრეში შალიკოც მუშაობს. წრის მიზანია სოციალ-ფედერალიზმის თეორეტიული საფუძვლების შესწავლა.

15 თებერვალს უნივერსიტეტის ეზო გაჭედილია სტუდენტებით. აქ არის შალიკოც. მისი სახე აღარ გამოხატავს მელანქოლიის ბუნებას. მისი თვალები ჰესიმისტის სურათს აღარ იძლევა. ერთმანეთს მწარედ ვესალმებით. „ან სიკვდილი ან გამარჯვება" გვეუბნება შალიკო.

რამდენიმე დღის შემდეგ ქუთაისში ვართ. შალიკო თავის დებულებაზედ მტკიცედ სდგას. „ან სიკვდილი ან გამარჯვება" მისი საუბრის საგანია. კიდევ რამდენიმე დრო და იგი თავის საყვარელ ქუთაისს უბრუნდება შუბლში ტყვიით და ტუჩზე ღიმილით...

ქემალისტებთან ბრძოლაში სახელოვან სიკვდილს იგემებს მწარე სიცოცხლით განაწამები ჭაბუკი...

მისი სულიერი ცხოვრება, მისი ყოველი ნაბიჯი ცხოვრებაში, ვერ იქნება აქ აღწერილი.

ერთი წელი გადის. შალიკოს საფლავიც დამიწდება. საუკუნოები გაივლის, ყოველივე მიწით გასწორდება. შალიკოს ობოლი სულის ძიება კვლავ უპასუხოდ დარჩება...

საყვარელო შალიკო, ჩვენი განმარტოებული საუბრები მხოლოდ ჩემთან იქნება მარადის. შენი გულის ზრახვანი დამიტოვე სამარადისოდ და ჩემი კი თან წაიღე, ჩემო ძვირფასო...

ჩვენ გვიყვარდა სიმარტოვეში საუბარი და ჩემი ოცნება ხშირად ესტუმრება შენს საფლავს. შენი ანდერძი არ მავიწყდება და მეც მხოლოდ გულის-სიღრმეში ვიმეორებ: „ან სიკვდილი, ან გამარჯვება" იმ ფრონტზედ, რომელიც სამარადისოდ მიანიჭებს თავისუფლებას ჩვენს ტანჯულ ქვეყანას...

შენი მეგობარი—ლი.

# თეატრი და ხელოვნება

## სახალხო სახლი

**ხორმეისტერ ბელსკის 20 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავი იუბილე.**

საზოგადოება, რომელიც ავსებს თეატრის დარბაზს, არ იცის, თუ რაოდენ მძიმე ჯაფას ეწევა თითოეული აუდიტორიისათვის უხილავი მუშაკი - და განსაკუთრებით ხორმეისტერი...

მოქ. ბელსკი აუცილებელია, სერიოზულად ეპყრობა საქმეს, რადგან ხორო სახალხო სახლში, საქმის ერთად ერთი დადებითი მხარეა და ამ მუშაკის იუბილეს დღესაც მას აღფრთოვანებით ეგებებოდენ არა მარტო ამხანაგების სცენით და საოპერო დასი, არამედ ის საზოგადოებაც დარბაზს რომ ავსებდა.

დადგმულ იქნა ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი" საუკეთესო სცენიური და მოყვარულთა ძალებით.

ტატიანას პარტიას ასრულებდა თბილისში განთქმული მოყვარული მოქ. მინკევიჩი. თავის ნიჭის მიხედვით მოქ. მინკევიჩს შეეძლო დაეკავებია პროფესიონალურ საოპერო მუშაკის ადგილი, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო მოაშორეს იგი ამ მოღვაწეობას და ამჟად იგი გამოდის როგორც მოყვარული.

ტატიანის პარტია მოქ. მინკევიჩმა ვოკალურის მხრივ შეასრულა მეტად მუსიკალურად, ჩაფიქრებით (ლირიული soprano). სცენიური მხრივ მოქ. მინკევიჩი ნაკლებ ჩამოგავს ახალგაზდა მეოცნებე ქალწულს. პარტიის საუკეთესო ნაწილია წერილის წერის სცენა, სცენა ტყეში ონეგინთან და უკანასკნელი სცენა მასთანვე. მოქ. ელიოზიშვილი შეხედულობით მოხდენილი ონეგინია და მღერის კარგათ.

მოქ. ზალიპსკი ასრულებდა ლენსკის პარტიას. ვოკალურის მხრივ შესრულება, რასაკვირველია უნდა, საუკეთესოა, მაგრამ სცენიურის მხრივ, საუბედუროდ, ლენსკი არ არის. მას იგი არ შეუმუშავებია და ყველგან ზალიპსკი ერთნაირია და არა სცენაზე გამოხატული სახე.

მეტად სუსტი ოლღა არის მოქ. ლისიციანი—მას სჭირია მუშაობა როგორც ხმაზე, ისე დიქციაზე, სცენაზე.

საკვირველია, როგორ ახერხებს დირიჟორი პოლიკარპე ფალიაშვილი ensamblle-ის მიღწევას ასეთი უდისციპლინო და უმუსიკალო ორკესტრით. სახელი და დიდება ფალიაშვილს. პარტიტურაში იმდენი ლამაზი ადგილები არის და ყოველივე ეს ორკესტრის შესრულებაში, დაიკარგა.

სარეჟისორო ნაწილმა უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ ხორმა მოქმედების განვითარებაში მიიღოს რაიმე მონაწილეობა და მანეკენებივით არ იდგნენ.

პ. ბ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

**განცხადება**

**ქ. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის,**

გადასახადთა ბიუროს და მისი რაიონულ აგენტების მოქმედებათა შესახებ დაარსებული საგანგებო-საგამომძიებლო კომისია ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის, გადასახადთა ბიუროს და მისი რაიონულ აგენტების მიერ მაღაზიების განაწილების დროს დაშვებულ უკანონო და ბოროტმოქმედებათა შესახებ ყოველგვარ განცხადება-საჩივრებს კომისია იღებს ა/წ. 25 მარტამდე. ყველა პირები, რომლებმაც კი იციან ასეთი ბოროტ-მოქმედებანი ანუ იზარალეს მათგან, ვალდებულნი არიან აღნიშნულ დრომდე მიაწოდონ საგამომძიებლო კომისიას სათანადო განცხადება.

**საგანგებო საგამომძიებლო კომისია.**

**განცხადება**

**ქ. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისია**

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ყველა ვაჭრობა-მრეწველობის ნებართვის უქონლობის გამო, ადმინისტრაციის მიერ დაბეჭდილი მაღაზიები, თუ მათ მეპატრონეები დღიდან დაბეჭდვისა 7 დღის განმავლობაში არ აიღებენ ვაჭრობა-მრეწველობის უფლების ნებართვას, სრულიად ჩამოერთმევა მეპატრონეებს და გადაეცემა საექსპლოატაციოთ ახალ მოიჯარადრეებს, ხოლო დაბეჭდილ მაღაზიებში აღმოჩენილი საქონელი კი გაიყიდება საჯარო ვაჭრობით ქალაქის ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

**საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.**